საქართველო
ხონის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ60. 6025226001**

თარიღი:**14/08/2025**

ხონის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების ფარგლებში საპროექტო წინადადებების წარდგენის ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და „ხონის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის სამუშაო ჯგუფის შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 ივლისის N 20 დადგენილების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დაიწყოს სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში იდეების - საპროექტო წინადადებების რეგისტრაციის პირველი ეტაპი 2025 წლის 15 აგვისტოდან და გაგრძელდეს 2025 წლის 30 სექტემბრამდე.

2. რეგისტრირებულ საპროექტო წინადადებებზე კენჭისყრის პროცედურები დაიწყოს 2025 წლის 15 ოქტომბრიდან. აღნიშნული პროცესი გაგრძელდეს 31 ოქტომბრამდე ან ხონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სამოქალაქო ბიუჯეტირების ქვეპროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე.

3. იდეის - საპროექტო წინადადების დასაშვებობის განსაზღვრა მოხდეს არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

4. პროექტის განხორციელების ეტაპზე ელექტრონული გვერდის ადმინისტრირება უზრუნველყოს სამუშაო ჯგუფმა.

5. სამოქალაქო ბიუჯეტირების ფარგლებში რეგისტრირებული პროექტის ბიუჯეტის მინიმალური ზღვარი განისაზღვროს 10 000 (ათი ათასი) ლარით, მაქსიმალური ზღვარი 150 000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარით.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N 1).

7. ბრძანება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი